გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 43

2020 წლის 13 მარტი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის „ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციისგან" გრანტის მიღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) წერილი, რომლითაც აღნიშნული ორგანიზაცია გამოთქვამს სურვილს თანადაფინანსების სახით ჩაერთოს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ციცაგიაანთკარის სასმელი წყლის სისტემის მოწყობაში (იტალიის საპარლამენტო დელეგაციის მიერ OSCE-ისთვის გადაცემული ფონდიდან). სამუშაოების პროექტი გორის მუნიციპალიტეტს USAID-ის მიერ დაფინანსებულმა პროექტმა „ზრდა"-მ გადასცა.

ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციას (OSCE) აქვს სურვილი, გააფორმოს სამმხრივი მემორანდუმი USAID-ის მიერ დაფინანსებულ პროექტ „ზრდა"-სა და გორის მუნიციპალიტეტის მერიას შორის. მემორანდუმის გაფორმების შემდეგ, შესაძლებელი გახდება საპროექტო სამუშაოებისათვის საჭირო საპარტნიორო ხელშეკრულების გაფორმებაც. ეს ყველაფერი შესაძლებლობას მისცემს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციას (OSCE), გამოყოს თანხა 90074 (ოთხმოცდაათი ათას სამოცდათოთხმეტი) ევროს ოდენობით, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ციცაგიაანთკარის სასმელი წყლის სისტემის მოსაწყობად.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-100 მუხლის მე-7 პუნქტით საკრებულოს თანხმობა საქართველოს მთავრობის ნებართვის მისაღებად ხელშეკრულების დადებაზე და გრანტის მიღებაზე სავალდებულოა, საჭიროა გორის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა ზემოაღნიშნული ხელშეკრულების დადებაზე და გრანტის მიღებაზე. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოფელ ციცაგიაანთკარში სასმელი წყლის სისტემის მოწყობის მიზნით, მიზანშეწონილად მიაჩნია მისცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, საქართველოს მთავრობის შესაბამისი ნებართვის შემთხვევაში ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციისგან (OSCE) მიიღოს გრანტი 90074 (ოთხმოცდაათი ათას სამოცდათოთხმეტი) ევროს ოდენობით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, საქართველოს მთავრობის შესაბამისი ნებართვის შემთხვევაში „ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციისგან“ მიიღოს გრანტი 90074 (ოთხმოცდაათი ათას სამოცდათოთხმეტი) ევროს ოდენობით.

2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში. (მის: ქ. გორი, ს.ჯორბენაძის ქ. №30)

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით რაზმაძე